

თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
ქონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ალექსანდრეს ასული ელიაზა

პამერული ვოკალური შემსრულებლობის  
პროგლობები და ჰუბრ ვოლფის  
სასიმღერო შემოქმედება

სამუსიკო ხელოგნების დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დასერტაციის

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სპეციალიზაცია \_ სოლო აკადემიური სიმღერა \_ 080506

თბილისი - 2011 წ.

**სამეცნიერო წელმძღვანელი:** ლამარა ბობლიჩიძე  
მოწვ. პროფესორი

**კონსულტანტი:** მარინა ქავთარაძე  
მუსიკოლოგიის დოქტორი  
ასოც. პროფესორი

**ექსპერტი:** ლალი ბაძრაძე  
ასოც. პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის 1 აპრილს 16 საათზე  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე №5.

მისამართი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,  
გრიბოედოვის ქ. №8, IV სართული, აუდიტორია №421.

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის  
ვებ-გვერდზე: <http://www.conservatoire.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი \_\_\_\_\_

**ექატერინე ონიანი**  
მუსიკოლოგიის დოქტორი  
ასოც. პროფესორი

## შესაფალი

საქართველოში, რომელიც ოდითგანვე სახელგან-თქმული იყო შესანიშნავი სასიმღერო ხმებით, დღემდე დო-მინირებს ინტერესი საოპერო შემსრულებლობის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით კამერულ-ვოკალური შემსრულებლობის შესახებ, რომელიც არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ქართველი საოპერო მომღერლები კამერულ ჟანრს იშვი-ათად თუ მიმართავდნენ. მათ საკონცერტო გამოსვლებში შერტყული პროგრამები სრულდებოდა. საკუთრივ კამერულ-საშემსრულებლო ხელოვნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ა. მიქაელერიძემ, ე. წვერავამ (რადიოკომიტეტის სოლისტი), ლ. გოგლიჩიძემ, გ. კარიაულმა, თ. ჩაჩავამ. დ. ჯიტავამ.

რომანტიკული სიმღერა ყველაზე მრავალრიცხოვნად შუბერტის, შუმანის, ბრამსის ნაწარმოებებით იყო წარ-მოდგენილი. მათ შორის ვოლფს მოკრძალებული ადგილი ეჭირა („Verborgenheit”, „Der Gartner”, „Fussreise”, „Wiegenlied”, „Elfenlied”), მაშინ, როდესაც მსოფლიო ვოკალური ლირი-კის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე მოვლენის – ვოლფის შემოქმედება მომღერლის შემდგომ არტისტულ ზრდასა და შემოქმედებით თვითდამკვიდრებას დიდად უწყობს ხელს.

აქედან გამომდინარეობს **თემას არჩევანი**, რომელიც განაპირობა დისერტაციის კონკრეტულმა ინტერესმა კამე-რულ-ვოკალური ლირიკის მიმართ. მუსიკაში ვოლფის უნიკალური ფიგურა ვოკალისტის პოზიციიდან სათანადოდ არ არის შესწავლილი. ვოლფის შემოქმედების ამ რაკურს-ში განხილვა-გაშუქება განსაზღვრავსმის აქტუალობას ქართულ კამერულ-ვოკალურ საშემსრულებლო ხელოვნე-ბაში, ვინაიდან ნაშრომი შეიცავს როგორც ზოგად, ასევე ვოლფის სიმღერების შესრულებასთან დაკავშირებულ კონ-კრეტულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს.

აზრობრივ-სახეობრივი და მხატვრულ-მუსიკალური თვალსაზრისით ვოლფის ურთულესი სიმღერები კომ-პლექსურ-მეთოდოლოგიურ შესწავლას მოითხოვენ, რის გამოც მათი ანალიზი გაკეთდა Lied-ის განვითარების

კონკრეტული მუსიკალური ეპოქის კონტექსტში, განისაზღვრა მუსიკალური ფორმის, უანრის, ვოკალურ-ტექნიკური პრობლემები, გერმანული ორთოვპიის საკითხები, ასევე გაკეთდა საფორტეპიანო პარტიის დეტალური ანალიზი და მოხდა პოეტური ტექსტის შესწავლა. ყველა ამ ამოცანის გადაჭრის შედეგად გამოიკვეთა პრაქტიკული სახელმძღვანელოს კონტურები, რაც წინამდებარე ნაშრომის მიზანს და მის პრაქტიკულ დანიშნულებას შეადგენს.

ამდენად, **კვლევის ობიექტის** წარმოადგენს ვოლფის სასიმღერო შემოქმედება რომანტიკული Lied-ის კონტექსტში, ხოლო **კვლევის საგანია** კამერულ-ვოკალური შემსრულებლობის პრობლემები.

კვლევის **მეთოდოლოგია** ემყარება კომპლექსურ და კომპარატიულ მეთოდებს. სადისერტაციო შრომისათვის **მეთოდოლოგიური ბაზა** შეგვიქმნეს მუსიკისმცოდნეობაში და ვოკალური შემსრულებლობის სფეროში არსებულმა ნაშრომებმა, როგორც ვოლფის შემოქმედების მიმოხილვის (ვ. ვასინა-გროსმანი, ვ. კონენი, ვ. ვულფიუსი, მ. ლობანოვი, რ. როლანი, ა. შეგინარესი, მ. დრუსკინი), ისე ინტერპრეტაციის საკითხებთან (დ. ფიშერ-დისკაუ, ჯ. მური, კ. შრაიერი), ვოკალურ-სამეტყველო ინტონირებასთან (ა. მალინკოვსკაია, ვ. ბაგრუნვი), კამერული სიმღერის (კ. შრაიერი, დ. ფიშერ-დისკაუ, ა. პარინი, ე. ნესტერენკო), ვოკალური სუნთქვის სპეციფიკის (ც. მიგაი, ს. იაკოვენკო, ა. იუვარა, ნ. ანდლულაძე) და ხმის წარმოქმნის ტექნიკასთან მიმართებაში (ა. იუროვის, ლ. დმიტრიევის, ა. ბაგრუნვის, დ. და ნ. ანდლულაძის შრომები).

**დასერტაცია შედეგება:** შესავლის, 2 თავის, რომელ-თაგან თითოეული 2 პარაგრაფად იყოფა, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიის და დანართისაგან.

შესაბალები მოცემულია თემის დასაბუთება, შრომის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და საგანი, არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

I თავი: „გერმანული რომანტიკული სიმღერის Lied-ის სტორეული მიმოხილვა ვოკალური შემსრულებლობის თვალსაზრისით” .

I ქეთაგი: „გერმანული რომანტიკული Lied-ი, როგორც XIX საუკუნის აგსტრიულ-გერმანული მუსიკალური რომანტიზმის უდიდესი მონაპოვარი”.

ა) Lied-ი რომანტიზმის ეძოქაში. XIX საუკუნე ევროპულ მუსიკალურ კულტურაში შევიდა, როგორც მუსიკალური რომანტიზმის „ოქროს ხანა”. საუკუნის შემდეგი პერიოდისთვის რომანტიზმია ამოწურა თავის თავი ლიტერატურაში, თეატრსა და სახვით ხელოვნებაში, მაგრამ მუსიკაში იგი განაგრძობდა თავის მრავალფეროვან და აქტიურ სიცოცხლეს. ამ პროცესში თავისი უზარმაზარი წვლილი შეიტანა ავსტრიისა და გერმანიის მუსიკალურმა ხელოვნებაში. ავსტრიულ-გერმანული მუსიკალური რომანტიზმის უდიდესი მონაპოვარი გახდა რომანტიკული სიმღერა, რომელსაც უკავშირდება შუბერტის, ვებერის, მენდელსონ-ბარტოლდის, შუმანის, ლოუკეს, ფრანცის, კორნელიუსის, ვაგნერისა და ვოლფის სახელები. თანდათან გერმანულ და ავსტრიულ რომანტიკულ სიმღერაში ყალიბდება Lied-ის ტრადიცია (ეს ცნება თავის თავში აერთიანებს რომანს და სიმღერას).

Lied-ის დაბადების ფაქტი „დაფიქსირებულია“ ჯერ კიდევ ჰენრიპ ალბერტის მიერ 1638 წელს კენიგსბერგში გამოცემულ „არია და მელოდიის“ პირველ ნაწილში.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია დოქტორ ერის ურბანის მიერ 1911 წელს გამოცემული გერმანული სიმღერების ალბომი (Verlag Ullstein, Berlin - Wien), რომელშიც გერმანული სიმღერის Lied-ის თავისებური კლასიფიკაცია მოცემული.

ურბანის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყერება:

I ნაწილი – „ძველი ოსტატების სიმღერები“ (ბახი, ჰენდელი, გლუკი და სხვ.);

II ნაწილი – „კლასიკური სიმღერა“ (ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი);

III ნაწილი – „რომანტიკული სიმღერა“ (ცუმშტაიგი, შუბერტი, მენდელსონ-ბარტოლდი, ვებერი, ლორტცინგი, მარშნერი, კროიცერი);

IV ნაწილი – „თანამედროვე სიმღერა“ – 25 ავტორი, მათ შორის – ლოევე, ბრამსი, კორნელიუსი, რ. შტრაუსი, ვოლფი, რეგერი და სხვ. რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ შრომის ამ ნაწილში შეტანილი ავტორების დიდმა ნაწილმა „რომანტიკული სიმღერის“ ნაწილში გადაინაცვლა.

V ნაწილი – „სიცილისა და ტირილის სიმღერები“ („Lieder zum Lachen und Weinen“) – 26 კომპოზიტორი, მათ შორის ცნობილი ვოკალიზების ავტორი - ფ. აბტი.

VI ნაწილი – „ხალხური და სტუდენტური სიმღერები“ – 36 სიმღერა.

შრომის ამ ქვეთავში განხილულია ვოლფის წინამორბედთა შემოქმედება.

Lied-ის სათავეებთან მდგარი შუბერტის გვერდით, რომლის შემოქმედებაში რომანტიკულმა სიმღერამ თავის განვითარების მწვერვალს მიაღწია, ჩვენ ვხვდებით იმ კომპოზიტორების სახელებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს Lied-ის ჩამოყალიბების გზა. ესენია: ცუმ-შტაიგი, ვებერი, მენდელსონი-ბარტოლდი, ფრანცი, კორნელიუსი, ლოევე. ნაშრომში მოცემულია ჩვენს მიერ უკვე ნახსენები კომპოზიტორების დახასიათება.

ყველა კომპოზიტორმა, რომლის შემოქმდებასაც ჩვენ შევეხეთ ვერ შეძლო გაეფართოვებინა სასიმღერო ჟანრის შესაძლებლობები შუბერტის ტრადიციების გათვალისწინებით და მხოლოდ შუმანმა შეძლო გაედრმავებინა მისი მიღწევები (სიმღერის დრამატიზაცია, მწვავე თანამედროვე თემატიკის ასახვა და ა.შ.), გაემდიდრებინა ისინი ფსიქოლოგიზმით, ირონიით და საკუთარი „მხატვრული მექს“ მრავალი თავისებურებით. შუმანის სიმღერაში უფრო მძაფრდება ყურადღება ტექსტის მიმართ. ვოკალური ინტონირება დამოკიდებული ხდება ქვეტექსტზე. ვოლფი იღებს ამ ესტაფეტას და ტრანსფორმაციას უპერებს ყველა ამ ნიშან-თვისებას თავის შემოქმედებაში, რის მეშვეობითაც Lied-ის ჟანრი ჭეშმარიტ მხატვრულ მწვერვალამდე აყავს.

**ბ) კამერული სიმღერა.** კამერულ საშემსრულებლო პრობლემებზე საუბრის დაწყებამდე საჭიროა განისაზღვროს ამ ქანრის წინაშე მდგარი ამოცანები. კამერული საშემსრულებლო სტილი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც საშინაო მუსიცირების ატმოსფერო (პატარა სივრცე, მოყვარული შემსრულებლები) არადეკვატური გახდა გამდიდრებული Lied-ის ქანრისთვის, რომელიც თავის მხრივ, უკვე სხვა პროფესიულ პარამეტრებს მოითხოვდა. კამერული სიმღერა ვოკალისტს ძალზე მკაცრ მოთხოვნებს უყენებს: ტექნიკური არსენალის სრული ფლობა-აღჭურვილობა, გამომსახველობითი ხერხების სწორი შერჩევა, მცირე ფორმაში დრმა აზრის და გრძნობის ჩადება, სწრაფი გარდასახვის უნარი – ეს კომპლექსი განსაზღვრავს კამერული მომღერლის შემოქმედებით სახეს. კამერული საშემსრულებლო სტილის საფუძველია – დეკლამაციურობა და მუსიკის ყველაზე დახვეწილი ინტონაციურ-აზრობრივი კავშირების გამოვლენა-ჩვენება.

კამერულ შემსრულებელს არ გააჩნია სცენიური აქსესუარები და დროში შეზღუდულობის გამო ვერ მიყვება გმირის ხასიათის განვითარებას – აუცილებელია სრული მობილიზაცია, რათა საკუთარი არტისტული ინდივიდუალობის პრიზმაში გარდატეხოს მხატვრული სახის ადგავატური მუსიკალური ინტერპრეტაცია.

ამ ქვეთავში ჩვენს ინტერესს წარმოადგენენ შემდეგი

**პრობლემები:**

1. პროგრამის შერჩევა; 2. არქიტექტონიკა, საკონცერტო პროგრამა, მისი მხატვრული მთლიანობა; 3. ნაწარმოებების ზუსტი თანმიმდევრობა და განაწილება – ეპოქების, მხატვრული სახეების, ტექნიკური სირთულის მიხედვით;
4. უდერადი, ხმოვანი მოდელის გარკვევა – სიძლიერისა და ტემბრის მიხედვით – თითოეული ნაწარმოებისთვის ცალ-ცალკე;
5. ურთიერთდამოკიდებულება ქესტან, გამომდინარე ნაწარმოების შინაარსიდან – ყოფითი ქესტისაგან თავშეკავება ან მისი სრული უარყოფა.

**II ქვეთაგი: „ბალადის უანრი XIX საუკუნის გოგალურ  
მუსიკაში“.**

ნაშრომის **II ქვეთაგი** ეძღვნება რომანტიკული ეპოქის Lied-ის ერთ-ერთ ახალ და ძირითად ჟანრს – **ბალადას**, რომელიც კამერული შემსრულებლობის განსაკუთრებულ ოსტატობას მოიხოვს.

Lied-ით გაჯერებული ჟანრები ურიცხვია: სიმღერა ხალ-ხურ სტილში, „ქალწულთა სიმღერა“, სიმღერა-მონოლოგი, სიმღერა-ზღაპარი, ფილოსოფიური სიმღერა, სიმღერა-დიალოგი, სიმღერა-სცენა და ა.შ.

შუბერტის შემოქმედებამდე Lied-ის ჟანრი ორი გზით ვთარღებოდა: ლირიკული კუპლებური სიმღერა და ბალადა. Lied-ის შემდგომ ისტორიაშიც ამ ორ ჟანრს განსაკურებული მნიშვნელობა ენიჭება. აქვე განხილულია ბალადის ჟანრის სახეობები სხვადასხვა ეროვნულ კულტურებში.

ამ ჟანრმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XVIII-XIX ს-ის I მეოთხედში, რომანტიზმის აყვავების ხანაში, როდესაც შეიქმნა ბიურგერის, გოგოეს, შილერის, პაინეს და სხვათა ბალადები.

აქვე განხილულია იოპან რუდოლფ ცუმშტაიგის და კარლ გოტფრიდ ლოევეს – ბალადის შემქმნელების უმნიშვნელოვანების წარმომადგენლების შემოქმედება.

XVIII საუკუნის ბოლოდან გერმანიაში ბალადის ორი ტრადიციული ტიპი ჩამოყალიბდა: პირველი იყო სამხრეთული (საოპერო) ტიპის, გამჭოლი განვითარების პრინციპზე აგებული, დასრულებული მუსიკალური ეპიზოდებისგან შემდგარი, მეორე – ჩრდილოეთური, რომელიც ხალხური ხასიათის სტროფულ სიმღერას წარმოადგენდა.

**იოპან რუდოლფ ცუმშტაიგი „სამხრეთული“** ბალადის წარმომადგენელი და ლოევესა და შუბერტის უშუალო წინამორბედი იყო.

ცუმშტაიგის ბალადებს შორის გამოირჩევა „ლენორა“, რომელიც დეტალურადაა გარჩეული დისერტანტის მიერ; გაანალიზებულია ლექსის ფორმა (სტროფი, რითმი), რიტმული, ბგერითი სტრუქტურა, ტენიტურა, რომელიც ხმის

განსაზღვრულ ტიპს ექვთვნის; გამოკვეთილია პერსონა-  
ჟების ინდივიდუალიზაციის მუსიკალური საშუალებები.  
ცუმშტრაიგის ბალადებმა შექმნეს მყარი საფუძველი XIX  
საუკუნის გერმანული რომანტიკული სიმღერის მრავალი  
მაღალმხატვრული ნიმუშისათვის.

**ქრონიკულ დოკუმენტების შემოქმედებას** გადამწყვეტი  
როლი უჭირავს ბალადის ქანრის ჩამოყალიბებასა და  
განვითარებაში. ლოევეს ბალადებმა სტილისტურად სა-  
ფუძველი მოუმზადეს ვოლფის შემოქმედებას. ბალადაში  
ლოევე მისი დრამატიზაციის პრობლემას აყენებს, ხოლო  
რაც შეეხება პერსონაჟების დახასიათების ინდივიდუალი-  
ზაციას, აქ იგი ვოლფის წინამორბედია. ლოევე ნოვატო-  
რია ინტონირების სფეროშიც. სასიმღერო შემოქმედებაში  
მას შეაქვს სალაპარაკო ინტონაციები და ამით უშუალოდ  
უახლოვდება ვოლფს. ლოევე საფუძველს უყრის ბალადის  
ქანრის როგორც სასიმღერო-სიმფონიური პოემის გააზრე-  
ბას. ვოლფი იდებს, ავითარებს და სრულყოფს ამ სქემას.

ნაშრომში გარჩეულია ლოევეს ბალადა „ედვარდი“;  
განსილულია ბალადის ფორმა, ნიუანსების სპექტრი, ვო-  
კალური პარტიის აგებულება. გაპეტებულია ლოევეს და  
ჩაიკოვსკის ერთსახელიანი ბალადების შედარებითი დახა-  
სიათება, მოცემულია რჩევები მომღერლისათვის. „ედვარ-  
დის“ დრამატული ექსპრესიიდან უშუალო კავშირი მყარ-  
დება ვოლფის „ცეცხლოვან მხედართან“. „ედვარდი“ წი-  
ნასწარ განჭვრებს ვოლფის ბალადების ექსპრესიონის-  
ტულ ემოციებს.

ნაშრომში მოცემულია XVIII საუკუნის დასასრულის  
კომპოზიტორების დახასიათება (ი.ა.პ. შულცი, ი.კ. რაი-  
პარდეტი, კ. ფრიძერგი, ნ. ფონ კრაფტი.) ამ კომპოზიტორთა  
შემოქმედების დახასიათებაში აღნიშნულია ისეთი ახალი  
თვისებები, როგორიცაა — მელოდიის ინდივიდუალიზაცია,  
რენიტატიული ეპიზოდები, სასიმღერო სტროფების ვარი-  
რება, გამომსახველი მომენტები ფორტეპიანოს პარტიაში.  
ეს ყველაფერი შემდგომში განვითარებას შებერტის შე-  
მოქმედებაში იძენს.

შუმანის სასიმღერო შემოქმედება განხილულია, როგორც Lied-ის ვოლფისაკენ სვლის ახალი ეტაპი. გავლებულია შედარებითი პარალელი შუმანის ბალადა „ორ გრენადერსა” და დარგომიქსკის ბალადა — მონოლოგ „მოხუც კაპრალს” შორის. შუმანის და დარგომიქსკის ბალადები დაწერილია მამაკაცის დაბალი ხმისთვის. ორივე ბალადა სრულიად უნიკალურ მასალას წარმოადგენს მომღერლის ვოკალური და არტისტული პოტენციალის გამოსავლენად.

ვოლფი კი აგრძელებს ლოევეს მიერ გაპვალულ გზას. იგი განიხილავს ბალადას როგორც სასიმღერო-სიმფონიურ პოემას, რომლის მხატვრულ სახეთა მასშტაბურობა, რთული მუსიკალური ენა, განვითარების დინამიკა შლის კამერულ-ვოკალური ლირიკის საზღვრებს და მივყავართ ბალადის მისეულ ხედვასთან — „ცეცხლოვან მხედართან”.

**„ცეცხლოვანი მხედარი”** — ვოლფის სასიმღერო შემოქმედების მწვერვალია და ერთ-ერთია იმ სამ ბალადას შორის („Der Feuerreiter”, „Nixe Binsenfuss”, „Die Geister am Mummelsee”), რომლებიც ედუარდ მერიკეს ლექსზეა დაწერილი. „ცეცხლოვანი მხედარი” გამოირჩევა უკვე დასახელებულ სამ ბალადას შორის თავისი მასშტაბურობით და წარმოადგენს გაშლილ, ხატოვან მონათხრობს, რომლის სტილი ემუარება დრამატულ დეკლამაციას.

ბალადა 5 ნაწილისგან შედგება. თითოეულ ნაწილს შეესაბამება პოეტური სტროფი. ვოკალისტის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ტესიტურის მკვეთრი მონაცვლეობა ძალიან დაბლიდან მაღლისაკენ, რაც ბეჭრის ფორსირების პროცესირებას ახდენს. რაც შეეხება ინტონაციურ სიზუსტეს და დეკლამაციის გამომსახველობას, ისინი ჩვეულებრივად მომღერლის საზრუნავი რჩება.

ლოევეს ბალადებთან ყველაზე ახლოს დგას ვოლფის **„ნიქსე-ქალთეგზა”**. სწორედ მისი შემოქმედების დამახასიათებელი მჭიდრო კავშირი ფოლკლორთან გახდა ამოსავალი „ნიქსეს” ვოკალური ინტონაციისთვის. ბალადის ორიგინალური ტონალობით — a-moll და დიაპაზონით — e<sup>1</sup>-fis

ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია ხმის ტიპი, რომელიც ისევე როგორც კოლფის სხვა სიმღერებში გამომდინარებს შინაარსიდან და ტესიტურიდან; ეს მსუბუქი სოპრანოა.

ფორტეპიანო თანხლებას უკეთებს ხმას მხოლოდ გიოლინოს გასაღებში. ბანის გასაღები არ ჩნდება მთელი სიმღერის განმავლობაში – იგი შეზღუდულია კოლფის შინაგანი მოთხოვნით. ამგვარად, საშემსრულებლო ამოცანები გაშიფრულია თავად სიმღერის მუსიკალურ-სახეობრივი ქსოვილის მეშვეობით.

II თავი. „გოლფის სიმღერების მხატვრული და გოგალურ-ტექნიკური შემსრულებლობის ამოცანები და მათი გადაჭრის გზები”

I ქვეთაგი: „გოლფის სიმღერები და მათი საშემსრულებლო ანალიზი”.

ცნობილი ინგლისელი პიანისტი და აკომპანიატორი ჯერალდ მური, თავის წიგნში „მომღერალი და აკომპანიატორი” წერს: „გოლფი ლექსს უნდა აღეფრთოვანებინა; იწყებდა ტექსტის გათავისებასა და შესისხლხორცებას, ვიდრე მისი ნაწილი არ გახდებოდა და სრულ მუსიკალურ ხორცშესხმას არ მიიღებდა”. ამ გამონათქვამში მოცემულია რჩევა მომღერლისადმი, რომელიც კოლფის სიმღერების ინტერპრეტირებას გადაწყვეტს – ესაა სიტყვაში, მის მნიშვნელობაში ჩაწვდომა, მისი ინტონაციის გაგება.

კოლფი გააზრებულად მიისწრაფვოდა პოეტური სახისათვის ადეკვატური მუსიკალური სიცოცხლე მიენიჭებინა. ამის შედეგია სასიმღერო მელოდიების და სამეტყველო ინტონაციის შერწყმა. სამეტყველო ინტონაციასთან ერთად, მუსიკალური ინტონაცია ინტენსიურ შიდამუსიკალურ განვითარებას ჰპოვებს, როგორც მუსიკალური მასალის ეწ. „ატომიზაცია” – მოკლე მოტივებად დანაწევრება.

მუსიკალურ-სამეტყველო კულტურის შეცნობა კოლფის სიმღერების შესრულებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კოლფის სიმღერებში ძალიან ხშირად ხმის ტიპი განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სიუჟეტური სიტუაციით, არამედ ასევე სიმღერის ნოტირებით კონკრე-

ტულ გასაღებში – ბანისა თუ სოპრანოსი. მაგრამ ხმის ტიპის განსაზღვრაში მთავარია არა მხოლოდ გასაღები, დიაპაზონი და ტენისურა. მუსიკალურ-მხატვრული სახეობრიობა გვკარნახობს არა მარტო ხმის ტიპს, არამედ მის ტემპერაცი – ნათელსა თუ მუქს. ხშირად ერთსა და იმავე სიმღერაში შინაარსობრივი კოლიზიები მოითხოვენ ტემპერის შეცვლას, მაგრამ საერთო კოლორიტი და დომინირებული მუსიკალური სახე გვეხმარება სწორი არჩევანის გაკათებაში.

**ელუარდ ფრიდრიხ მერიკე** ვოლფის სიმღერების I კრებულის პოეტური ტექსტის ავტორია. კრებულს მის ლექსებზე შეადგენს 53 სიმღერა. აქ ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ჟანრის სიმღერას – ზღაპრულ-ფანგასტიკურს, სასიყვარულოს, სიმღერა-დიალოგს, ფილოსოფიურს და სხვ.

ნაშრომში გაანალიზებულია მერიკეს 10 სიმღერა: №2 „Der Knabe und das Immelein“ – „ბიჭუნა და ფუტკარი“, №7 „Das verlassene Mägglein“ – „მიტოვებული გოგონა“, №9 „Nimmersatte Liebe“ – „დაუცხრობელი სიყვარული“, №10 „Fussreise“ – „ფეხით მოგზაურობა“, №12 „Verborgenheit“ – „გულჩათხრობილობა“, №16 „Elfenlied“ – „ელფების სიმღერა“, №17 „Der Gartner“ – „მებაღე“, №18 „Zitronenfalter im April“ – „ლიმნის ბეპელა აპრილში“, №31 „Wo find ich Trost“ – „სად გმოვებ ნუგეშ“, №36 „Lebe wohl“ – „მშგიდობით“.

აღნიშნულ სიმღერებში დადგენილია დიაპაზონი, ტენისურა, ჟანრული კუთვნილება, ხმის ტიპი, ტემპერული შეფერილობა, მოცემულია რჩევები ვოკალურ-ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად.

მეორე ციკლი „ი. ასხენდორფის სიმღერები წმისა და ფორტეპიანოსათვეს“ ვოლფმა დაასრულა 1888 წელს, ხოლო 1989 წ. გამოსცა.

17 სიმღერისაგან შემდგარ ციკლში შედის სხვადასხვა წლების სიმღერები. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მერიკეს სიმღერებისაგან; მის ბირთვს წარმოადგენენ სიმღერები, რომლებშიც დომინირებს აიხენდორფის რომან-

ტიპული ლირიკის რეალისტურ-ჟანრული პლასტი. ვოლფი სრულიად შეგნებულად, არიდებს თავს იმ ლექსებს, რომლებიც უკვე შესული იყო შემანის შესანიშნავ ციკლში „სიმღერების წრე”. ვოლფი ირჩევს აიხენდროფის იმ ლექსებს, რომლებიც გამოირჩევიან რეალისტური მიზან-სწრაფულობით, რომანტიკული ელემენტი კი მეორე პლანზე გადააქვს. ციკლში დომინირებს ვოკალური საწყისი, ხოლო განვითარებული, რთული და მდიდარი საფორტეპიანო პარტია ხშირ შემთხვევაში მაინც თანხლებად რჩება. ციკლის ყველა სიმღერა პირობითად შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს: I – ლირიკული სიმღერა-აღსარება („Liebesglück”, „Erwartung”, „Die Nacht”, „Nachtzauber”, „Verschweigene Liebe”); II – სიმღერა-პორტრეტები („Der Freund”, „Der Musikant”, „Der Soldat”, „Der Scholar”).

ამგვარი დაყოფის პირობითობას განაპირობებს ამ სიმღერების ჟანრული მრავალფეროვნება. აქ ვხვდებით იუმორისტულ სიმღერებს („Lieber Alles”), ფანტასტიკურ სცენებს („Waldmädchen”), სამშობლოს სევდას („Heimweh”) და ა.შ.

აიხენდორფის ლექსების შერჩევისას ვოლფმა თავად დაუწესა საკუთარ თავს გარკვეული შეზღუდვები. იგი ორიენტირს იდებს საყმაწვილო-სახალისო ტონის ლექსებზე, რომლებიც არ მოითხოვენ განსაკუთრებულად დახვეწილ ნატიფ ხმოვანებას. ჩვენს მიერ გაანალიზებულია სხვადასხვა ჟანრის 3 სიმღერა: „Waldesmadchen” – „ტყის ქალწული”, „Die Nacht” – „ღამე” და „Unfall” – „უბედური შემთხვევა” – იუმორისტული მოთხოვბა დამის შეხვედრაზე. აქ ჩვენ თვალში გვხვდება ვოლფისთვის ტიპიური ჟანრების შერწყმის ნიმუში. ფანტასტიკური მოთხოვბა არის ამავე დროს ლირიკული მონოლოგი – აღწერითი სასიათის სევდიანი სატრიუალო სიმღერა. იუმორისტული მოთხოვბა შეიცავს ფანტასტიკურ ელემენტებს. სიმღერის ანალიზი კეთდება კომპლექსურად (ფორმა, დიაპაზონი, ტესიტურა, ხმოვანი კოლორიტი, პოეტური ტექსტი, ტექნიკური ვოკალური ამოცანები (სუნთქვა, ინტონირება), საფორტეპიანო

თანხლება) – ყველა კომპონენტის განხილვით, რომელიც მხატვრული სახის გახსნას ემსახურება. საშემსრულებლო ამოცანების დასმის პარალელურად დისერტანტი იძლევა რეკომენდაციებს მათ გადასაჭრელად.

**გოლფი.** გოლფისთვის გოლფეს ტექსტზე დაწერილმა სიმღერებმა ისეთივე მნიშვნელობა ჟეიძინა, როგორც შუბერტან. გოლფის სიმღერები ინტერპრეტაციის საკმაოდ დიდ საშუალებას იძლევა, თუმცა ამავე დროს ხმისა და ფორტეპიანოს პარიტეტის პარამეტრები მკაცრადაა დაცული; ისინი ურთიერთდამოკიდებულია.

გოლფის 51 სიმღერისაგან შემდგარი ციკლი „**სიმღერები გოლფის ლექსებზე**“ გადმოცემის მასშტაბურობითა და მუსიკალური ენის ეპიკურ-მედიდური ტონით გამოიჩინა. გოლფის კრებულს ხსნიან 9 სიმღერა ციკლიდან „ვილტელმ მაისტერიდან“ და სიმღერები გოლფეს ციკლიდან „ბალადები“ (№№11, 12, 13), მას მოსდევს თავად პოეტის მიერ „აღსარების სიმღერებად“ წოდებული მისი ლირიკის ყველაზე ფერადოვანი და იმავდროულად მრავლისმომცველი ნაწილი, შემდეგ 17 სიმღერით წარმოდგენილი „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“, რომელიც გოლფთან თავისებურ ლირიკულ პოემად გადაიქცევა. და ბოლოს, ციკლის დამაგვირგვინებელი 3 გაშლილი მონოლოგი გოლფეს ციკლიდან „ოდები“: „პრომეთე“, „ჰანიმედი“ და „კაცობრიობის ზღვარი“.

დისერტანტი არჩევს გოლფეს ლექსებზე შექმნილ ორ სიმღერას – „Die Bekehrte“ („მოქცეული“) და მინიონას IV სიმღერა. „**Die Bekherte**“ – 27-ე სიმღერა ძალზე პოპულარული და ერთ-ერთი ყველაზე შესრულებადია გოლფეს კრებულში. მინიონას ოთხი სიმღერა „არფისტის სიმღერებთან“ ერთად საფუძვლად დაედო სიმღერების ჯგუფს ლექსებზე „ვილტელმ მაისტერიდან“. გარჩევისას დისერტანტი ადარებს გოლფის მინიონას ოთხ სიმღერას ამავე ლექსზე შექმნილ სხვა კომპოზიტორების (ბეთოვენი, შუბერტი, შუმანი) სიმღერებს. ამ სიმღერაში გოლფი მუსიკალური ფორმით, მასალის განვითარებით, მთავარი გმირის სახის აღქმით

მნიშვნელოვნად შორდება თავის წინამორბედებს. მინიონას მეოთხე სიმღერა („Kennst du das Land“) გადაიზრდება მასშტაბურ მონუმენტურ ბალადაში, სადაც გამეფებულია თეატრალურად ამაღლებულ გრძნობათა პოეტური სამყარო.

გოეთეს კრებულზე მუშაობისას ვოლფი სულ უფრო დრმად რწმუნდება რომ მისი წარმოდგენები ფორტეპიანოს ქდერადობის საკითხთან დაკავშირებით სულ უფრო აშკარად იხრება საორკესტრო ტიპის დრამატურგიისაკენ. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 1890-1893 წ.წ. მან გააკეთა მინიონას ოთხი სიმღერის ორი საორკესტრო რედაქცია.

**იტალიური და ესპანური სიმღერები.** „ესპანური სიმღერები“ ერთ-ერთია ვოლფის სამი უკანასკნელი ვოკალური ციკლიდან. ლექსები, რომელზეც ვოლფმა თავისი სიმღერების აგება გადაწყვიტა, ესპანური და იტალიური ყოფითი ხალხური სიმღერების გერმანულ თარგმანს წარმოადგენდა. ეს თარგმანები ეკუთვნოდა იმ დროის პოპულარულ პოეტებს პაულ გეიზესა და მანუელ გეიბელს (1815-1884).

კრებული იუოფა ორ: სასულიერო და საერო ნაწილებად. სასულიერო შედეგება 10 ხოლო საერო – 34 სიმღერისაგან.

ესპანურ წიგნში, იტალიურის მსგავსად ვოლფი ახდენს ხალხური და პროფესიული შემოქმედების სინთეზს. იგი ვოკალური ლირიკის ჩარჩოებში ეძებს ხალხური ელგუმენტებისა და თანამედროვე ბგერითი შესაძლებლობების შეთავსების, შერწყმის გზებს.

10 სასულიერო სიმღერა ქმნის ციკლს, რომელსაც საფუძვლად უდევს დვოისმშობლის და წმინდა ოჯახის ცხოვრება. პირველი ოთხი სიმღერა ცნობილია როგორც მარიამის სიმღერები („Marienlieder“).

სიმღერების ამ ნაწილიდან გარჩეულია სიმღერა „Nun wander, Maria“ (der heilige Josef singt); განიხილება სიმღერის ვოკალური პარამეტრები: დიაპაზონი, ტესიტურა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ხმის ტიპი (ამ შემთხვევაში – ტენორი), ტექნიკური ამოცანები, სიმღერის სახეობრივ-ემოციური სფერო და აგრეთვე საფორტეპიანო თანხლების თავისებურებებთან დაკავშირებული ვოლფის რემარკები.

„ესპანური სიმღერების” საერო ნაწილი 34 სიმღერის-გან შედგება. ჩვენ კთავაზობთ საერო ნაწილის II სიმღერის „In dem Schatten meiner Locken” – „ჩემი დაღალების ჩრდილში” გარჩევას. ისევე როგორც ყველგან, აქ დაცულია ანალიზის საერთო პრინციპი – დიაპაზონი, ტესიტურა, ხმის ტიპისა და ტემპის დაღვენა, პოეტური ტექსტისა და მუსიკალური ქსოვილის მეშვეობით მხატვრული სახის გა სხვა, შესწავლა და მოცემულია კონკრეტული მითითებები სუნთქვის ორგანიზებისათვის სიმღერის ფორმიდან გამო-მდინარე.

ჰაიზეს კრებულში ვოლფი მოხიბლა იმ ლექსებმა, რომლებსაც იტალიურად „Rispetti” ეწოდება. ეს მცირე ზომის ლექსად გადმოცემული სიყვარულის ახსნაა. ლექ-სები ატარებს უმეტესად ნათელ, სიცოცხლით სავსე, ხალ-სიან ხასიათს.

„იტალიური სიმღერები” ვერ შეეძრება „ესპანურ სიმღერებს” შინაარსის ღრმა ლირიზმით და მრავალფეროვნებით, მაგრამ გარეგნულად უფრო ეფექტურია. სიმღერები აგებულია ფსიქოლოგიურ მდგომარეობათა კონტრასტზე. ზოგი სიმღერა მდგომარეობას გადმოსცემს, ზოგი კი მოქმედებას. თუ ერთი სიმღერა მამაკაცის ხმისთვის არის დაწერილი, მეორე – ქალისთვის. ეს საშუალებას იძლევა ეს ციკლი განხილული იქნას როგორც „სასიმღერო ოკერა”.

შრომაში გაკეთებულია საკონცერტო პროგრამის ორგანიზების ხმის შესაბამისი ტიპების დაჯგუფება გამომცემლობა „პეტერსის” მიხედვით (1926).

**მამაკაცების სიმღერები:** I ტომი – №34, 17, 35, 29, 30, 13, 31, 8, 19, 4; II ტომი – №27, 22, 18, 42, 44, 37, 30.

**ქალთა სიმღერები:** I ტომი – №20, 21, 31, 38, 32, 8, 19, 36; II ტომი – №43, 6, 12, 10, 46; III ტომი – №24, 11, 16, 15.

**დაბლოგი:** I ტომი – **მამაკაცი:** №42, 44, 13, 31, 8, 4; **ქალი:** №43, 6, 32, 45, 19, 36; II ტომი – **მამაკაცი:** №41, 20, 40, 39; **ქალი:** №27, 18, 34, 9.

თავის რემარკებში ვოლფი ზუსტად მიუთითებს თუ როგორ უნდა შესრულდეს მისი სიმღერები: „Langsam und

sehr innig” – „ნელა და ძალიან გულწრფელად”, „höhnisch” – „ამაღლებულად” და ა.შ)

„იტალიური სიმღერების წიგნს” ბევრი თაყვანისმცემელი პყავს მომღერლებს შორის, რომელთაც ის უფრო იზიდავს ვიდრე „ესპანური სიმღერები” და „გოეთეს სიმღერები”, ვინაიდან სრულიად ნათელია, რომ ამ ლექსების ღრმა შინაარსში წვდომა და შემდგომ გადმოცემა გაცილებით რთულ ამოცანას წარმოადგენს.

იტალიური სიმღერებიდან ჩვენს მიერ განხილულია სამი სიმღერა. №1 სიმღერა „**Auch kleine Dinge können uns entzucken**” („მცირე წვრილმანსაც კი ძალუმს თქვენი აღტაცება”), №22 II ტომიდან „**Ein Stadchen euch zu bringen**” („მე მოვალ რათა მოგიძლვნათ სერენადა”), და სიმღერა №46 „**Ich hab in Penna einen Liebsten wonnen**” („შეეყარებული მყავს პენაში”).

ვოლფის უკანასკნელი ვოკალური ციკლი ბანისა და ფორტეპიანოსთვის, **მიქელანჯელოს ლექსებზე** (ვ. რობერტ-ტორნოვის გერმანული თარგმანით) დაიწერა 1897 წელს; ციკლი სამი სიმღერისგან შედგება.

- I „Wohl denk ich oft” („როს სიცოცხლეს წარმოვიდგენ...”)
- II „Alles endet, was entstehet” („ყოველი ცოცხალი კვდება”)
- III „Fühlt meine Seele” („ოხ, იღვრება კი სულში შუქი სას-წაულომოქმედი”)

ვოლფმა 3 სიმღერა გააერთიანა დასრულებულ კომპოზიციაში, სადაც ადამიანის ყოფიერების სამი მთავარი პრობლემაა განსახიერებული: სიცოცხლე, სიკვდილი და უკვდავება.

მთავარი, რითაც განსხვავდება **საფორტეპიანო თან-სლება** ვოლფის სიმღერებში, ეს არის მისი ხმასთან პარიტეტი, ვოკალთან მხატვრული თანასწორობა. ხანდახან ამ დიალოგში ხმა წამყვან როლს ინსტრუმენტს უთმობს. ვოკალური მელოდიკა ხშირად ტექსტის დეკლამაციას ექვემდებარება, საფორტეპიანო პარტია კი უფრო თავისუფალია და დამოუკიდებელი. ხშირად ვოლფის სიმღერებში სწორედ ფორტეპიანო აძლიერებს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ან პირიქით იგი იძლევა ფსიქოლოგიურ განტვირთვას.

უცხოენოვანი მომღერლებისთვის, რომლებიც მიმართავენ ვოლფის შემოქმედებას, დგება **სიტყვის** პრობლემა, რადგან სიტყვა ვოლფის სიმღერებში ბევრი საშემსრულებლო პარამეტრის განმსაზღვრელია.

### **ორთოება.**

Lied-ის შესრულების დაუფლებისას არსებობს ბარიერი, რომელიც სივრცისა და დროის დამოუკიდებლად ჩნდება და თავად სიმღერების სპეციფიკიდან მომდინარეობს. აქ მთავარი განმსაზღვრელი, როგორც ჩვენ უპყვითეს დაგრწმუნდით, არის **სიტყვა**.

უდავოა, რომ მომღერლისთვის, რომელიც მიმართავს ვოლფის სიმღერებს გერმანული ორთოებია პირველადი მნიშვნელობის, განუწყვეტილი მუშაობის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ვფიქრობთ, რომ თავად ვოლფის მაგალითით სიმღერების შესრულებას წინ უნდა უძღვდეს მოკლე თარგმანი ან იგი ნაბეჭდ პროგრამაში უნდა იყოს მოთავსებული.

ჩვენს მიერ არის წარმოდგენილი რამდენიმე სავარჯიშო გერმანული ენის რთული ბგერების გამოთქმაზე სამუშაოდ.

### **II ქეთაგი: „ვოლფის სიმღერების თნტერპრეტაციების შედარებითი ანალიზი”.**

ამ ქვეთავში წარმოდგენილია XX საუკუნის გამოჩენილი მომღერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში მიმართავდნენ ვოლფის სიმღერებს. ესენი არიან: ე. შვარცკოპფი, კ. ლუდვიგი, დ. ფიშერ-დისკაუ. კამერული მომღერლების ახალი თაობის წარმომადგენლები არიან: ვერნერ გიურა, იან ბოსტრიჯი.

ჩვენს მიერ გაკეთებულია ამ გამოჩენილი მომღერლების ვოლფის სიმღერების შესრულების შედარებითი ანალიზი:

1. „Elfenlied“ – „ელფის სიმღერა“ – ელიზაბეტ შვარცკოპფი (სოპრანო) – კრისტა ლუდვიგი (მეცო-სოპრანო).

2. „Nimmersatte Liebe“ – „დაუცხოობელი სიყვარული“ – კრისტა ლუდვიგი (მეცო-სოპრანო) – ვერნერ გიურა (ტენორი).

3. „Wo find ich Trost“ – „სად ვთვებ ნუგეშს“ – ეველინ ლირი (სოპრანო) – ფიშერ დისკაუ (ბარიტონი).

4. „მინიონას სიმდერა” – „Kennst du das Land” – კრისტალუდვიგი – ელიზაბეტ შვარცპოპფი – კირი ტე კანავა (სოპრანო).

სადისერტაციო ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** უპირველეს ყოვლისა მის პრაქტიკულ საშემსრულებლო რეკომენდაციებშია, რომლებიც დასკვნაშია კონცენტრირებული.

დისერტანტის მიერ ვოლფის სიმდერების გაანალიზების შედეგად გაკეთებულია **დასპასი** და მოცემულია ზოგადი რჩევები ვოლფის სიმდერების შესრულებისათვის:

I. აუცილებელია ლიტერატურული პირველწყაროს შესწავლა, ამა თუ იმ პოეტის სახეობრივ სამყაროში შესვლა. შემსრულებელმა უნდა გაიაროს კომპოზიტორის სიტყვაში წვდომის გზა, რომელსაც სიმდერის დაბადებასთან მივყართ. ხმამაღლა დეკლამაცია იმ სალპაპარაკო ინტონაციის დასადგენად, რომელიც დახმარებას გაუწევს ქვემისტის საიდუმლოების გარკვევაში – ეს არის გზა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობისათვის.

II. საფორტეპიანო თანხლების არა მარტო, როგორც პარმონიული და რიტმული ფონის შესწავლა, არამედ მისი მოაზრება „თანამოსაუბრედ” ხმისა და ფორტეპიანოს დიალოგში.

III. ხმის კოლორიტის ძიება (მუქი-ნათელი), ხმის ტემბრული შეფერილობა. ძირითადი ხმოვანი სახე ემოციურაზრობრივი შინაარსითაა ნაკარნახევი. მაგრამ თავად ნაწარმოებში შესაძლოა წარმოიქმნას კოლორიტის შეცვლის აუცილებლობა, მხატვრული სახის განვითარებიდან და შინაარსიდან გამომდინარე. **ძრობა ტემბრული შეფერილობა შეერძებულ და განსაზღვრულ უნდა იქნას მთელი სიმდერის ხმოვან ქსოვილში.**

IV. ტრანსპონირების საკითხისადმი შემოქმედებითი მიღება – ხმა ტონალობაში თავისუფლადდა ორგანულად უნდა არსებობდეს.

V. სასიმდერო სუნთქვის საკითხები გადაწყვეტილი უნდა იქნას **თვეერსოული** სუნთქვის პოზიციიდან – სუნთქვა ნეიტრალურიდან გარდაიქმნება მუსიკალურ-ემოციური

რად. ტექნიკურად უნდა შემუშავდეს მცირე სუნთქვა და ნახევარსუნთქვა, ასე აუცილებელი გოლფის სიმღერების შესრულებისთვის. თავისუფალ სუნთქვას გააჩნია შემოქმედებითი ფუნქცია – „სმენა სუნთქავს”, ხოლო „სუნთქვა უსმენს”.

**VI.** ნაწარმოების შესრულება **a capella** – როგორც აუცილებელი ტრენაჟი შემდგომი თავისუფალი შესრულებისათვის.

## **დასკრტაცია მთავარი დემულებები აუმჯობესებული შრომებში**

1. „პირველად იყო სიტყვა” (მერიკეს ლექსების შესახებ პუგო ვოლფის მუსიკით). სტატია ჩაშვებულია გამოსაცემად თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონ-სერვატორიის სამეცნიერო გამოცემათა კრებულში. სერია: მუსიკისმცოდნეობის საპიტხები. რედ.: რ. წურწუმია და სხვ. თბილისი, 2010.

2. „ბალადიდან ბალადამდე” (ცუმშტაიგიდან გოლ-ფამდე). ქესე: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ქურნალი; ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; რია; 2010 | №.1(5) [2010.10.31]; მის.: <http://gesj.internet-academy.org.ge> (რუსულ ენაზე).